დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N1

20.01.2020 წელი ქ.დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2020 წლის 20 იანვარს 11 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე; კახა პეტრიაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები;

1: კახა პეტრიაშვილი

2: ლევან მოსეშვილი

3: რამიზ რამაზანოვი

4: აზერ ალიევი

5. ფაიგ ისმაილოვი

კომისისის სხდომას ესწრება კომისიის 5 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. **„დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ ანგარიშის განხილვა.**

1. მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილი

2. **დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ**

2. მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილი

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. მოისმინეს:

კახა პეტრიაშვილი „დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ ანგარიშის შესახებ მოგახსენებთ რომ კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა 63 განცხადება, არ დაკმაყოფილადა 57, ექვსი განცხადება განხილვის პროცესშია.

1. **აზრი გამოთქა: რამიზ რამაზანოვმა**

კომისიამ **გადაწყვიტა;** ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

2. **მოისმინეს:**

კახა პეტრიაშვილი - . დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმება საჭიროა როდესაც ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობათა ხუთ პროცენტს, არამუდმივი ამოცანათა შესასრულებლად დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას ესაჭიროება დამატებით ოთხი თანამშრომელი:

1. (რიგით მერვე) - სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი;
2. (რიგით მეცხრე) - სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი ამბულატორიების და სტიქიების კოორდინატორი;
3. (რიგით მეათე) - სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი სკოლების კოორდინატორი;
4. (რიგით მეთერთმეტე) - შიდა აუდიტის სამსახურის სპეციალისტი შიდა აუდიტის საკითხებში.

კომისიამ ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა განხილულ საკითხს.

2. **აზრი გამოთქა: გაიგ ისმაილოვმა**

კომისიამ გადაწყვიტა; საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე; კახა პეტრიაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი